საქართველოს მთავრობის

დადგენილება №69

2013 წლის 28 მარტი

ქ. თბილისი

სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის მოსამსახურის ფიცის დამტკიცების შესახებ

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლისა და „სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შესახებ” საქართველოს კანონის 10^4 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად დამტკიცდეს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის მოსამსახურის ფიცი შემდეგი რედაქციით:

სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის მოსამსახურის ფიცი

მე, საქართველოს მოქალაქე, საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის რიგებში შესვლისას ვფიცავ:

- პირნათლად მოვიხადო ჩემი მხედრული ვალი საქართველოს წინაშე;

- განუხრელად დავიცვა ქვეყნის კონსტიტუცია და კანონები, სამსახურის წესდებების ყველა მოთხოვნა, უპირობოდ დავემორჩილო მეთაურის ბრძანებებს;

- მტკიცედ ვიდგე ქვეყნის კონსტიტუციური წყობისა და საზოგადოების უსაფრთხოების სადარაჯოზე, ღირსეულად განვაგრძო წინაპართა მხედრული ტრადიციები;

- არსად, არასოდეს, არც ერთ ვითარებაში არ გავამჟღავნო ჩემთვის მონდობილი სახელმწიფო და პროფესიული საიდუმლოებანი;

- ვფიცავ, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე მტკიცედ ვიდგე სამშობლოს სადარაჯოზე;

- თუ გავტეხ ამ ფიცს, პასუხს ვაგებ ღვთისა და ქვეყნის წინაშე.

გვფარავდეს ღმერთი!.

მუხლი 2

ეს დადგენილება ამოქმედდეს 2013 წლის 25 მარტიდან.

პრემიერ-მინისტრი **ბიძინა ივანიშვილი**